დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 29 მაისის №96 სხდომის ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი

აღნიშნული წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით გასამართი ღონისძიებებისა და პროექტების დაფინანსების პროცედურებს შემდეგი პირობებით:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტური კლუბები უფლებამოსილნი არიან, სტუდენტური პროექტების და ღონისძიებების დაფინანსების მოთხოვნით მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
2. სტუდენტური პროექტის შესახებ განცხადების განხილვის მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება პროექტების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია.
3. კომისიის რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრით.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კომისიას წარუდგენს სტუდენტური პროექტების/ღონისძიებების დაფინანსების შესახებ შემოსულ განაცხადებს.
5. სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ განაცხადი უნდა გაიგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე უნივერსიტეტის ოფიციალურ მეილზე info@iliauni.edu.ge საპროექტო განაცხადის წინასწარ განსაზღვრული ფორმით (დანართი #1 საპროექტო განაცხადის ფორმა).
6. შესაბამისი კომისიის მიერ საპროექტო განაცხადების განხილვა მოხდება ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს.
   I. იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ საჭიროებს ტენდერის ჩატარებას, პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.
   II. იმ შემთხვევაში თუ პროექტი საჭიროებს ტენდერის ჩატარებას, პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 30 სამუშაო დღით ადრე.
7. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროექტი წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რათა მოხდეს პროექტის დაფინანსება შესაბამისი პროცედურების დაცვით;
8. პროექტის ავტორ(ებ)ს პროექტის დაფინანსების ან არ დაფინანსების თაობაზე პასუხი ეცნობებათ კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.
9. პროექტის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში კომისიის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

10. ამ წესის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის მე-60 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი.